



ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/Akhali Ganatleba

№39 (913) ბაზოფის 1998 წლიდან

17-23.12.2020

არ გარდავით! კროზლემები არ დაგალოთ!

ჭილდოთი მიღებული თანხას უკეთეს საქმეს
რას მოვახმარდი



მაია ტყემალაძე:

ამ სიტუაციაში ყველაზე დიდი დილემა, ვფიქრობ, მაინც მასწავლებლის ტექნიკა, მეთოდური გაძლიერებაა. მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს ძლიერი, რომ სრულფასოვნად შეძლოს ონლაინ სწავლება. ამისთვის კი, მას ონლაინ კურსების სახით სჭირდება გაძლიერება – ცა და დედამიწასავით განსხვავებულია ონლაინ და ოფლაინ სწავლება.

იქნებ მეგაზაიციების სანაჯვლოდ



ლადო აფხაზავა:

თითქოს შეცდომებს ვასწორებთ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვახერხებთ. მიზეზი? ალბათ, ყველამ დავიჯერეთ, რომ ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადასვლისას ყველაფერი კარგად გავაკეთეთ, მაგრამ თვალსაჩინოა, რომ ყველაფერი ბოლომდე არ გვაქვს შესწავლილი და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამის სწავლა/შეცნობა უკვე დავამთავრეთ. დავამთავრეთ კი არა, დანყებულნიც არ გვაქვს.

ჩემი სკოლის მასწავლებლები რა იქნებიან...



ლიკა გომართიძე:

ბუნებრივია, გაზაფხულზე უფრო მეტი პრობლემა იყო და უფრო დატვირთული რეჟიმით გვინევდა მუშაობა, ყველასთვის მოულოდნელი იყო ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადასვლა – ამისთვის არც ოჯახები იყვნენ მომზადებული და არც სკოლა და მასწავლებელი. ვერ ვიტყვი, რომ 100 პროცენტით ყველაფერი კარგადაა და პრობლემები აღარ გვაქვს, მაგრამ მოსწავლეებთან კომუნიკაციას და მასალების მიწოდებას უკვე ყველა ახერხებს, რომ მოსწავლეები სასწავლო პროცესის მიღმა არ დავტოვოთ.

ლალი ჯეღაძე

4

ინოვაციების ცენტრი – მესტიის ახალგაზრდების ციფრული გზამკვლევი

5

არა ბულინგს თბილისის №104 საჯარო სკოლის მოსწავლეების ესაები

- ⇒ დიანა ბევორჩიანი
- ⇒ ბევორჩ პერიხანიანი
- ⇒ მარია ქაჯაროვი

6

გარე დაკვირვების გაკვეთილის გეგმის ნიმუში

- ⇒ ნესტან მიქაძე
- ⇒ ნარინე ხაჩოიანი



დირექტორები, რომლებსაც უფლებამოსილება არ გაუგრძელეს, უშუალოდ ელიან იმის დასაბუთებას, თუ რატომ არ დაეთანხმა სამინისტრო მათი დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის მოთხოვნას.

„დაბვიბრუნეთ დირექტორი!!! არა შერჩევით სამართალს!!!“ – საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დირექტორების „გათავისუფლების“ ახალი მძლავრი ტალღა დაიწყო. ათეულობით სკოლის დირექტორი დაკავებულ თანამდებობას, შრომითი ხელშეკრულების ნ-წლიანი ვადის გასვლის გამო, ტოვებს, თუმცა, ნაწილს უმართლებს – აგრძელებს მოვალეობის შესრულებას, შედარებით მცირე ნაწილი კი, ვერ მოხვდა ილბლიანთა სიაში, მათ შორის, გამორჩეული სკოლის ლიდერები.

განათლების სამინისტრო კონკრეტულად რომელიმე დირექტორის საქმეზე ვერ საუბრობს, თუმცა, აღნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს შესაბამისი გაფრთხილება მიეცა: „საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოების მიერ არჩეულ დირექტორებს, 2020 წლის სექტემბრიდან ეტაპობრივად ეწურებათ შრომითი ხელშეკრულების ნ-წლიანი ვადა. აღნიშნული ინფორმაცია საჯარო სკოლის ყველა დირექტორისთვის კარგად არის ცნობილი. სამინისტროს მხრიდან არ მომხდარა არც ერთი დირექტორის გათავისუფლება. ყველა მათგანს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საჯარო სკოლების დირექტორთა შესარჩევ კონკურსში“.

ამ განცხადებით შემოფარგლული განმარტების მიღმა, ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა რჩება, გათავისუფლებულმა დირექტორებმა დღემდე არ იციან რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა უწყებამ, როცა ნაწილს მისცა მოვალეობის შემსრულებლად საქმიანობის გაგრძელების უფლება, ნაწილს კი შეუჩერა და სკოლებში მოვალეობის შემსრულებლებად, ახალი კონკურსის გამართვამდე, სხვა პირები დანიშნა.

სოციალური გაკვეთილები

არ გარეშდით! პრობლემები არ დამალვით!

ლალი ჯალაძე

პანდემიით შექმნილმა რეალობამ საგანმანათლებლო სისტემის გვერდის სუსტი და ძლიერი მხარე გამოაჩინა. სისტემის არსებითი უპირატესობა, უპირატესოდ, კრიტიკულ სიტუაციებში კიდევ უფრო გაღრმავდა და თვალშისაცემი გახდა. ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ძლიერი მხარეა კი, დღეს, როგორც არასდროს, მასწავლებელი იმცა, რადგან სწორედ მის მხარეზე გადადის პანდემიის პერიოდის განათლება. მათი დიდი ძალისხმევით, მცდელობის შედეგად არაერთი მოსწავლე გადაურჩა, ასე ვთქვათ, სასწავლო პროცესის მიღმა ყოფნას (სამწუხაროდ, გვერდის ვერ გადაურჩა, რადგან ქვეყანაში გვყავს ათიათასობით მოსწავლე, რომელიც განათლების მიღმა აღმოჩნდა). გვერდის პრაქტიკული შედეგად, გვერდის უკვე კარგად ნაცნობია. რთულია, 60 ათასი მასწავლებელიდან კონკრეტული პედაგოგები გამოარჩიო და

მათზე მოყვი, თუ როგორ ცდილობენ გავმეცხვიან დახმარებას, რომ თანდასწავლავდნენ პრობლემებს მონაწილეობით განსამკლავებლად, ამით ვფიქრობ, სხვები არ გავანაწყენო, რადგან ყველას ერთი და იმავე მოცემულობაში უნდა ვიყო. თუმცა, მაინც მინდა საზოგადოებას მოვუხვე მასწავლებლებზე, რომლებიც, პროფესიონალიზმთან ერთად, თანდასწავლის საშუალებას გააღებენ მათ. არაორდინარულ ლაბო მასწავლებლებზე, რომელიც მოქალაქეებს მებაზავთ სხვადასხვა სტრატეგიას ან პედაგოგებს და დირექტორებზე, რომლებიც კონკრეტულ მიღებულ თანხის ნაწილს საკუთარი მოსწავლეების დისტანციურ გაკვეთილებში ჩართვის საჭიროებას ახმარენ.

ლალი აფხაზავა, მათა ტყემალაძე, ლიკა გომარეთელი – საგანმანათლებლო სფეროში კარგად ნაცნობი ადამიანები გვიყვებიან, რომორ უმკლავებებიან პანდემიის პერიოდის განათლების გამოწვევებს.

ჯილდოთი მიღებულ თანხას უკეთეს სახეს რას მოვხმარებ



➤ **მაია ტყემალაძე**
საჩხერის №2 საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული

მიმდინარე სემესტრი, რა თქმა უნდა, განსხვავებულია გაზაფხულის სემესტრისგან. მაშინ უფრო თავის გადარჩენაზე და, ზოგადად, მთელი სისტემის გადარჩენაზე ვიყავით ორიენტირებული. ბევრი რამ არ ვიცოდით ონლაინ სწავლების შესახებ და ხშირად ბრმად ვაკეთებდით, რასაც ვაკეთებდით. ონლაინ მუშაობის გარკვეული გამოცდილება მქონდა (ორსამთვიანი საკმაოდ სერიოზული ონლაინ ტრენინგები მაქვს გავლილი), მაგრამ მხოლოდ მე არ დამეინიშნა მასწავლებელი ხომ ვერ გადაწყვეტს პრობლემას, საერთო სისტემაზე, სკოლაზე ვსაუბრობ. უმრავლესობამ არ ვიცოდით როგორ ჩავვეტარებინა ონლაინ გაკვეთილები, მაგრამ ახლა ნამდვილად ვიცი, რომ სკოლა, ყველა თვალსაზრისით, მომზადებულია ონლაინ სწავლებისთვის, ჯერ დირექტორმა გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩენილიყო სწავლების მიღმა – ვისაც არ ექნება წვდომა ინტერნეტთან და ტექნიკასთან, დისტანციურ გაკვეთილში რომ ჩართოს. თუკი რამე საშუალება ჰქონდა სკოლას, ტექნიკას ვგულისხმობ, ჩვენმა დირექტორმა, ლიკა გომარეთელმა, მასწავლებლებს და ბავშვებს სახლში გაატანა. ამის გარდა, ვისწავლეთ ტექნიკა, როგორ ვასწავლებდით ონლაინ. სწავლების პარალელურად ტრენინგებს გავდიოდით, ვცდილობდით გვესწავლა, როგორ გვემართა ონლაინ 30 ბავშვი, რომელიც კლასში გვყავს. დამეთანხმებით, მართლა რთულია 20 ან 30 მოსწავლესთან დისტანციურად მუშაობა.

ონლაინ სწავლების ტექნიკის/მეთოდების შესწავლის შემდეგ უფრო გაბედულები გავხდით, ამასობაში თიმისიც მოწესრიგდა – ვიცით რა და როგორ გავაკეთოთ, ჩემი თავით ამითაც კმაყოფილი ვარ – უფრო თავდაჯერებული გავხდი. გასულ სემესტრში ძალიან ველავდი ყველა დეტალზე, მაგალითად, სისტემიდან რომ გამოვევარდებოდი და ა.შ. წელს ბავშვებიც უფრო მობილიზებული არიან, ისინიც გაერკვნენ სისტემაში, იციან როგორ გააზიარონ ან შექმნან რესურსი, მოკლედ, ამ მხრივ, უფრო მომძლავრებული ვართ.

რეალურად, ჩვენს სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომია ონლაინ გაკვეთილები, როგორც კი გამოიკვეთება ისეთი მოსწავლე, რომელიც ვერ ესწრება გაკვეთილს იმის გამო, რომ ტექნიკა ან ინტერნეტი არ აქვს, ვცდილობთ, დავეხმაროთ. სწორედ ასეთი შემთხვევა მქონდა, როცა ორი მოსწავლე ვერ ერთვებოდნენ ონლაინ სწავლებას იმის გამო, რომ ერთს ინტერნეტი არ ჰქონდა, მეორეს – ტექნიკა (ცხადია, პერიოდულად, სხვა მოსწავლეებსაც უდგებთ ასეთი საჭიროება), ჩვენ მათ დაუყოვნებლივ ვეხმარებით და აუცილებლად დავეხმარებით მომავალშიც. დაწყებით კლასებს ვასწავლი და ახლა შემძლია გითხრათ, რომ 100-პროცენტის დანერგვა მაქვს.

რაც შეეხება იმ ორ მოსწავლეს, რომლის დახმარებაც მე შევძელი, ეს 2019 წლის ბოლოს, საერთაშორისო კონკურსში (ბრიტანული ორგანიზაცია – ინგლისურად მოსაუბრეთა საზოგადოება) გამარჯვებამ განაპირობა. კონკურსში საქართველოდან მე წარმადგინეს და, მსოფლიო მასშტაბით, მეორე ადგილზე გავედი, პირველ ადგილზე – შოტლანდიელი მასწავლებელი. შესაბამისად, ამას ჯილდოც მოჰყვა. თუმცა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თანხა დაგვიანებით ჩაირიცხა. თავიდანვე მქონდა გამიზნული, რომ ამ თანხას ჩემს კლუბს მოვანხმარებ – საჯარო მეტყველებისა და დებატების კლუბს, რომელიც სკოლაში ფუნქციონირებს. მინდოდა, რესურსები შემიძინა. ამასობაში პანდემიის პერიოდში დაიწყო თანხის ნაწილი ვებინარებისთვის გამოვიყენე – მონვეული სტუმრებისთვის, რესურსებისთვის. მაგრამ თანხის ნაწილი დამრჩა. რადგან მაინც ბავშვებისთვის უნდა მომეხმარა ეს ჩემი ჯილდო, ბუნებრივია, ვიფიქრე, უკეთეს საქმეს რას მოვხმარებდი, ვიდრე ჩემს მოსწავლეს, რომელიც სასწავლო პროცესის მიღმა იმის გამო დარჩა, რომ ინტერნეტი არ ჰქონდა, თან

ისეთი მოსწავლე, რომელსაც გაზაფხულის სემესტრში ერთი გაკვეთილი არ გამოუტოვებია. სხვები ხანდახან აცდენდნენ, ვერ ან არ შემოდოდნენ, მაგრამ ეს მოსწავლე არასდროს აცდენდა. აღფრთოვანებული ვიყავი მისი ასეთი პასუხისმგებლობის გრძობით და საოცრად შემოქმედებითი დაჯილდებებით. სამწუხაროდ, წელს აღმოჩნდა, რომ ასეთი მონდომებული მოსწავლე გაკვეთილზე ინტერნეტის არქონის გამო ვეღარ შემოდოდა. დუფიქრებლად მივიღე გადაწყვეტილება, დავხმარებოდი და ამ სასწავლო წელს, ვიდრე ვიქნებოდი დისტანციურ სწავლებაზე, ის ინტერნეტით უზრუნველყოფილი იქნება. ამ სიტუაციაში ყველაზე დიდი დილემა, ვფიქრობ, მაინც მასწავლებლის ტექნიკა, მეთოდური გაძლიერებაა. მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს ძლიერი, რომ სრულფასოვნად შეძლოს ონლაინ სწავლება. ამისთვის კი, მას ონლაინ კურსების სახით სჭირდება გაძლიერება – ცა და დედამინასავით განსხვავებულია ონლაინ და ოფლაინ სწავლება.

მასწავლებლების ნაწილი თვითონ ეძებს და ცდილობს მიიღოს ინფორმაცია. ხანდახან შუალაშემდე არ ვიძინებ ხოლმე, ვიდრე დამატებით არ ვიპოვი რამეს მეორე დღის გაკვეთილისთვის. მაგრამ მინდა, რომ ეს ყველა მასწავლებელს შეეხოს. აუცილებლად უნდა გადაზადდნენ პედაგოგები, ასეთი მდგომარეობა რომ დიდხანს გაგრძელდეს, ხომ უნდა შევძლოთ სრულფასოვან ონლაინ სწავლებასთან მიახლოება. თან ძალიან მკაფიოდ დავიხატე ამის საჭიროება თანამედროვე სამყაროში. მნიშვნელობა არ აქვს მომავალში დაგჭირდება თუ არა, ჩვენ მაინც მზად უნდა ვიყოთ ონლაინ სწავლებისთვის, რაც იმ სათანადო კომპეტენციებისა და უნარების გარეშე, ცხადია, ვერ მიიღწევა. ერთია მასწავლებლების ამ კუთხით გაძლიერება და მეორეა მისი მიტანა მოსწავლემდე, თორემ მხოლოდ ცოდნა არაფერს ნიშნავს, თუ საბოლოო სიკეთეები მოსწავლეებზე არ აისახა. ნებისმიერი ფორმატი სწავლების მიზანსაც ხომ ეს არის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხაზი, რაც დღევანდელობამ გამოკვეთა, არის თანადგომა და ადამიანური ურთიერთობები – ბავშვი უნდა გენდოს და თუ არ გენდობა, ვერაფერს გააკეთებ. ჩვენს სკოლაში ურთიერთობების ასეთი კულტურაა ჩამოყალიბებული – ყველა ერთმანეთის გერდით დგას, სკოლის დირექტორიდან დაწყებული, ნებისმიერი თანამშრომლიდან დამთავრებული. ჩვენ ერთად ვიბრძვით ყველაფრისთვის. ბავშვებს დირექტორის ნდობაც აქვთ და მასწავლებლის ნდობაც. ლიკა გომარეთელის ძალისხმევით, სკოლაში უამრავი პროექტი ხორციელდება და ჩვენი მოსწავლეები მხოლოდ გაკვეთილების ამარა არ არიან დარჩენილები. ისინი ჩართული არიან დისკუსიებში, კლუბებში, სადაც კიდევ სხვაგვარი ურთიერთობები ყალიბდება ჩვენ შორის – მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. პროექტებში უშუალოდ ბავშვები არიან. მაგალითად, ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, ბავშვებთან ერთად ვთარგმნით მდგრადი განვითარების მიზნების გაკვეთილებს. ბავშვებს პასუხისმგებლობა გადაუწმენდილად ერთად ვიღვნივთ ამ ფრონტზე. ასეთი დამოკიდებულება და ურთიერთობები, ვფიქრობ, უფრო გაუადვილებს მათ ამ რთულ სიტუაციას.

რაც შეეხება იმ მოსწავლეებს, რომლებიც გაზაფხულზე სწავლების მიღმა დარჩნენ, რა თქმა უნდა, ეს სერიოზული გამოწვევაა. ცხადია, მათი პროგრამასთან დახვევა და ჩამორჩენის შემცირება, ჩვენი, მასწავლებლების, საზრუნავია. თუმცა, ეს ბოლომდე მე პირადად ვერ მოვახერხე. ვფიქრობდი, სკოლაში მივალთ და აუცილებლად დამატებით გაკვეთილებს ჩავუტარებ ამ მოსწავლეებს-მეთქი, მაგრამ როგორც იცით, ეს არ მოხდა და მალევე მოგვინია დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა. თუმცა, ერთი მეზობელი მოსწავლე მყავს, სოციალურად დაუცველი ოჯახიდან, რომელიც გაკვეთილებს ინტერნეტის არქონის გამო ვერ ესწრებოდა. მას მთელი ზაფხულის განმავლობაში ვამეცადინებდი.

საერთო ჯამში, პანდემიის პერიოდის განათლებამ მართლა ბევრი პრობლემა წარმოშვა – სოციალური უნარები დაიკარგა, ვერ ვახერხებთ ჯგუფურ და წყვილებში მუშაობას. შარშან მეცხრე კლასს ვასწავლიდი და ძალიან ბევრ აქტივობას ვახორციელებდით მათთან, პროექტებზე დაუფრენებელი სწავლებით. ახლა ამას ვერ ვახერხებ. ონლაინ სწავლება ბევრ პრობლემას ქმნის, ზუმ ოთახებში განაწილების ფუნქციები ფასიანია, ამიტომ ვეღარ ვმუშაობ მოსწავლეებთან ჯგუფებში. ამის გარდა, ბავშვები პასუხისმგებლობასაც ნაკლებად გრძობენ. სამი თვის შემდეგ, როცა სექტემბერში სკოლაში დავბრუნდით, ვერც კი წარმოიდგენთ როგორი შეცვლილები იყვნენ ბავშვები, ამოვარდნილი კალაპოტიდან და ეს იყო არა ზაფხულის არდადეგების სინდრომი, არამედ იმ თვეების,

როცა ონლაინ რეჟიმში ვსწავლობდით. აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, სამწუხაროდ, ეს პერიოდი აუცილებლად იქონიებს ნეგატიურ გავლენას მოსწავლეებზე.

იხილეთ მებაზავთის სანახევროდ



➤ **ლალი აფხაზავა**
„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ მფლობელი, ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

სიმართლე გითხრათ, ისეთი განცდა მაქვს, რომ ახლა უფრო ქაოსია სისტემაში, ვიდრე გაზაფხულზე, პანდემიის დაწყებისას, როცა ონლაინ რეჟიმზე გადაწყობა მოგვინია. პირველად უფრო მეტი ინტერესი გვექონდა მასწავლებლებსაც, რომ ონლაინ პლატფორმები შეგვესწავლა, რაც მთავარია, იოლად და სწრაფად ავუღეთ ალლო. მეორე ტალღის დროს, ვფიქრობ, უფრო დაბნეულობაა და, ცოტა არ იყოს, ეს გასაოცრებაა. გაზაფხულის სემესტრის დროს თუ რამე შევცდომები დავუშვით ან სწორად ვერ ვმართავდით სასწავლო პროცესს, შემოდგომაზე ოდნავ მაინც გამართული რომ ყოფილიყო ონლაინ გაკვეთილები, ეს შეცდომები ხომ უნდა გამოგვესწავლებინა? თითქოს შეცდომებს ვასწორებთ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვახერხებთ. მიზეზი? ალბათ, ყველამ დავიჯერეთ, რომ ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადასვლისას ყველაფერი კარგად გავაკეთეთ, მაგრამ ყოველდღე ჩნდება ახალი ინფორმაცია, სახელე თიმისი პროგრამაში, ყოველდღიურად ახალ ახალ რამეს ვიკვებ. თვალსაჩინოა, რომ ყველაფერი ბოლომდე არ გვაქვს შესწავლილი და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამის სწავლა/შეცნობა უკვე დავამთავრეთ. დავამთავრეთ კი არა, დაწყებულიც არ გვაქვს.

წელს ახალი ინიციატივა წამოვიწყე ლანჩხუთელი მოსწავლეების დასახმარებლად. ინიციატივას – ყვავილების გაყიდვას და ამით ფულის შეგროვებას – ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა. 516 ქოთანია ია ვაყიდე. თავიდან, როცა ეს იდეა მომივიდა, 100 იის ფოთოლი ჩავრგე და იებმა ისე მოიწონეს თავი, რომ 5 და 6-ჯერ მეტი გახდნენ. მერე ვიყიდე პატარა, მთერთიანი ქოთანები, მინა და ვაქციე ცალკე იებად, რასაც ჩემი ხელფასი შეუხებია, მაგრამ, მართალი გითხრათ, ეს ღირდა. რატომ გავაკეთე? იმიტომ, რომ ვეზადებოდი შემდეგი ტალღისთვის და თავისთავად ვფიქრობდი, რომ, ალბათ, ასე მოემზადებოდა ყველა და ყველა სფერო. მაგრამ მეორე ტალღა დაიწყო თუ არა, მივხვდი, რომ ასე არ არის, უკეთესად მომზადება იყო საჭირო. მე ჩემს თავს ვაფუბრავდი, 516 ქოთანია ძალიან ცოტაა, ალბათ მეტი უნდა გამეკეთებინა...

პანდემიის დაწყებისას, ბუნებრივია, არც მე და არც არავინ ამისთვის მზად არ იყო, რეალურად დროც არ გვექონდა მომზადებისთვის, ამიტომ უამრავი ადამიანი შევანუხე, რომ სწავლის მიღმა დარჩენილი მოსწავლეებისთვის თანხა შემეგროვებინა ინტერნეტპლატფორმის შესაძენად. შევანუხე სხვადასხვა ორგანიზაციები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასოციაცია „ქართველები საფრანგეთში“ და სხვები... მათ ვუგზავნიდი მოსწავლეების ტელეფონის ნომრებს და კეთილი ადამიანები ინტერნეტის საფასურს ურიცხავდნენ – 19 ლარს. მეორე ტალღის დროს, ბუნებრივია, ვეღარ ვთხოვდი, რომ ისევ ჩაერიცხათ თანხა, უნივერსიტეტსაც ხომ თავისი პრობლემები



საერთო ჯამში, პანდემიის პერიოდის განათლებამ მართლა ბევრი პრობლემა წარმოშვა – სოციალური უნარები დაიკარგა, ვერ ვახერხებთ ჯგუფურ და წყვილებში მუშაობას.

სოსიალური გაკვეთილება

აქვს, თუნდაც ამ კუთხით... ამიტომ ვიფიქრე, თადარიგს დავიჭერ, იქნებ გავამრავლებ და, საჭიროების შემთხვევაში, გავყვი...

მოხილვითი თანხით 512 მოსწავლეს ჩავურთავთ უფასო ინტერნეტი; 10 მრავალშვილიან ოჯახს, რომლებსაც 4-5 მოსწავლე ჰყავთ, ახალი კომპიუტერი გადავცემთ და 18-თვიანი ინტერნეტით უზრუნველვყავით. იების აქციას ბევრი მხარდაჭერი გამოუჩნდა, მათი თანადგომით 14 ათასი ლარის მოზილიზება შევქმენით. ბევრი ადამიანი შეგვხვდა, გვირცხვანდნენ 20 ლარს, 50 ლარს, ზოგს იები სულ არ უნდოდა, ისე ჩავგვირცხვით თანხა.

იების ქულის ქვეშ გაერთიანებულმა ადამიანებმა მართლა საოცრება შეძლეს. ჰოლანდიაში მცხოვრებმა ერთმა ქართველმა ქალბატონმა, 6 ბავშვით შეარჩია, რომლებსაც სახლში ვიიზა აქვთ შეყვანილი და ყოველთვიურ გადასახადს, 30 ლარს ვერ იხდიან. ამ კეთილმა ადამიანმა საკუთარ თავზე აიღო ექვსივე ბავშვის, 6 თვის განმავლობაში, ინტერნეტის თანხით უზრუნველყოფა.

მოკლედ, ლანჩხუთის მინიციალიტეტსაც გავცდით კეთილი ადამიანების თანადგომით. ჩიბათის სკოლიდან დახმარება მხოლოდ 72 მოსწავლეს დასჭირდა, მაგრამ, როგორც გითხარით, სულ 512 მოსწავლეს და 10 ოჯახს დავეხმარეთ. ეს რიცხვი კიდევ იზრდება, რადგან ყოველდღე მხვდება გადმოორიცხები 10-5 ლარი... დღეს 80 ლარი დამხვდა, მაშინვე გადავურიცხე 4 ბავშვს ინტერნეტის თანხა. ხვალ ისინიც უკვე გაკვეთილზე იქნებიან.

იმასაც ვერ ვიტყვი, რამდენად ვალდებულია განათლების სამინისტრო, რომ ყველა მოსწავლეს ჩაურიცხოს ინტერნეტი თანხა, ყველა უზრუნველყოს ულიმიტი ინტერნეტით, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ გვერდი უნდა აუაროს სწავლის მიღმა დარჩენილ ბავშვებს, თვალის დახუჭოს პრობლემებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, პრობლემები უფრო თამამად ვაღიაროთ, ვილაპარაკოთ ყველაფერზე. მე რომ ხმა არ ამომეღო და პრობლემებზე საუბარი იმის გამო არ დამეწყო, რომ ვინმე არ გაეპარაზო-მეთქი, ამდენ მოსწავლეს როგორ შევუწყობდი ხელს? ამიტომ არის უმნიშვნელოვანესი, რომ თითოეულმა მოსწავლემ, განათლების მუშაკებმა, განათლების სამინისტრომ სისტემაში არსებულ პრობლემებზე ღია და თამამად ილაპარაკონ. მერწმუნეთ, ეს შედეგადაა. როგორც კი პრობლემა წამოვიყენე, იმდენი მხარდაჭერი გამოიჩინდა, რომ თვითონაც არ ველოდი.

კმაყოფილი ვარ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ძალიან ბევრ ბავშვს ჩავურთეთ ინტერნეტი და

მათთვის სწავლა ხელმისაწვდომი გავხადეთ, მაგრამ ისიც მახარებს, რომ ლანჩხუთის გავცდით და აჭარის რეგიონის სტუდენტებსაც ვურიცხავთ ინტერნეტ პაკეტის შესაძენ თანხას. მალაშვილიანი აჭარიდან მოგვმართეს სტუდენტებმა, რომლებიც, უსახსრობის გამო, ლექციებს ვერ ესწრებოდნენ. ჩვენ ისინიც დავაფინანსეთ. რაც მთავარია, მახარებს ის, რომ ამ საქმეში მარტო არ აღმოვჩნდი და ბევრი ადამიანი შემოვიკრიბე მათ დასახმარებლად.

ყოველკვირეულად სკოლის ადმინისტრაციას უნდა მივანოვო ინფორმაცია, მე-7 კლასში რამდენი მოსწავლე შემოვიდა და გაკვეთილზე, რამდენი არ შემოვიდა და რა მიზეზით, შემდეგ ამ ინფორმაციას სკოლის ადმინისტრაცია რესურსცენტრს უგზავნის, რესურსცენტრი – სამინისტროს. როცა იმდენი ინფორმაცია გროვდება, რომ სათვალავი აღარ არის, ეს პრობლემები არ უნდა ვაღიაროთ? თუნდაც იმისთვის, რომ მათი გადაჭრის გზები გამოიჩინოთ? მაგრამ რატომღაც ქართველებს გვიყვარს სწორი ინფორმაციის დამალვა.

გარდა იმისა, რომ ინტერნეტის პრობლემა ასობით მოსწავლეს მოუფუგვარეთ და ისინი სასწავლო პროცესის მიღმა აღარ იქნებიან, იების აქციით, მათ მთავარი რამ დავანახე – გამოწვევებმა არ უნდა შეაშინოთ, არ გაჩერდნენ, არ დამალონ პრობლემები. პირიქით, იმუქმდებიან!!! აღიარონ და ექვსი ბავშვიანი გზები. ამიტომაც დავარქვი იების აქციას „სოციალური გაკვეთილი“, რომელიც არა მხოლოდ ჩემს მოსწავლეებს, არამედ ძალიან ბევრ ადამიანს ჩავუტარე.

ჩემი სკოლის მოსწავლეების ასე იქცვიან...



ლიკა ზომართილი ლიდერობის კონკურსის გამარჯვებული, საჩხერის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

ბუნებრივია, გაზაფხულზე უფრო მეტი პრობლემა იყო და უფრო დატვირთული რეჟიმით გვიწევდა მუშაობა, ყველასთვის მოულოდნელი იყო ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადასვლა – ამისთვის არც ოჯახები იყვნენ მომზადებული და არც სკოლა და მოსწავლეები. თუმცა, სკოლამ და მოსწავლეებმაც უფრო ადვილად მოახდინეს ადაპტირება – მოსწავლეები ძალიან მალე უზრუნველყავით კომპიუტერებით (ვიცხვარე ეს სჭირდებოდა), ასევე, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობაც მოგვარდა. ამის გარდა, რაც გვეკონდა – ბუკები და კომპიუტერები, მოსწავლეებს გადავცემთ დროებით სარგებლობაში. თავისთავად, ინტერნეტის პრობლემის მოგვარება ბოლომდე ვერ შევძელით, მოდემები შევაცვაროვით და ვთხოვეთ ბავშვებს. თუმცა, ბავშვების ნაწილი მშობლებმა შორ სოფლებში წაიყვანეს პანდემიის დროს და მათთან მხოლოდ ტელეფონით ვკონტაქტობდით, პერიოდულად ამოვტყდილ დავალებებს ვუგზავნიდით. წელს ამის საჭიროება აღარ გვაქვს, ფაქტობრივად, აღმოფხვრა პრობლემა და აღარც ასეთი

მოსწავლეები გვყავს სკოლაში. დარწმუნებით შემიძლია გითხარათ, რომ ყველა ოჯახში, მინიმუმ, ერთი ტექნიკური მოწყობილობა და ინტერნეტთან წვდომა აქვთ, მცირე გამოწვინების გარდა. მაგალითად, ერთ ოჯახს პირადად მე შევუძინე ინტერნეტმოდემი, ასევე, ერთ მოსწავლეს ვუყიდე პლანეტი. რასაკვირველია, ეს ყველაფერი პირადი ბიუჯეტით შევქმენი. დირექტორების კონკურსში რომ გავიმარჯვე სკოლამ საპრიზო თანხა – 30 ათასი ლარი მიიღო, რომლითაც სტემ აკადემიას ვაფუძნებთ. პირადად მე კი, გადმოვიცა 5 ათასი ლარი კოალიცია – განათლება ყველასთვის და გუდავამე-პატარაკაციშვილის ფონდისგან. ეს პირადად ჩემი ჯილდოა. სწორედ ეს თანხა გამოვიყენე მოსწავლეების დასახმარებლად – ერთ მოსწავლეს ვუყიდე პლანეტი და ერთი ოჯახი, სადაც სამი მოსწავლე ცხოვრობს, მათ შორის, ერთ-ერთი სსს მქონეა, უზრუნველვყავი ინტერნეტ მოდემით. ჩემი სკოლის მოსწავლეებზეც ასე იქცვიან, როცა მათი რომელიმე მოსწავლე სასწავლო პროცესს ეთიშება, ინტერნეტის ან კომპიუტერის არქონის გამო.

შინაარსობრივი თვალსაზრისით კი, მოსწავლეები ახლა უფრო მომზადებულები არიან გაზაფხულთან შედარებით, ტრენინგები გაიარეს თიშში, ანუ უკეთ ისწავლეს ელექტრონული პლატფორმების გამოყენება. სამინისტრო გაზაფხულზეც ძალიან ინტენსიურად ახორციელებდა ტრენინგებს და ახალაც გრძელდება ყოველკვირეულ რეჟიმში. ამის გარდა, ძალიან წამოგვეშველა ონლაინ სწავლების რუბრიკაც, რომლის საფუძველზეც უკვე ვიცით, როგორ დაგვემოს მასწავლებელმა ნახევარსაათიანი ონლაინ გაკვეთილი, როგორი ტიპის დავალებები გაუგზავნოს მოსწავლეს სახლში სამუშაოდ, თავად რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება და ა.შ. მოკლედ, მეთოდურადაც უფრო გავიმართეთ. ვერ ვიტყვი, რომ 100 პროცენტით ყველაფერი კარგადაა და პრობლემები აღარ გვაქვს, მაგრამ მოსწავლეებთან კომუნიკაციას და მასალების მიწოდებას უკვე ყველა ახერხებს, რომ მოსწავლეები სასწავლო პროცესის მიღმა არ დავტოვოთ.

სამივე მოსწავლეები საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ კეთდება საქმე თანადგომით და რომ მოსწავლეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოსწავლის საჭიროებების მოგვარებაა, მაგრამ, ალბათ, ყველასთვის სასურველი მაინც ისეთი საგანმანათლებლო სისტემა და სახელმწიფო იქნება, სადაც ღაღო მოსწავლეები ყველაფერს აღარ გაყვიდნენ იმისთვის, რომ ლანჩხუთელ მოსწავლეებს ინტერნეტი ჩაურთოს და არც საკუთარი პროფესიონალიზმით მოპოვებული ჯილდოს უკანასკნელ კაპიკებს არ გამოიყენებენ წლის საუკეთესო დირექტორი და მსოფლიო მასშტაბით აღიარებული ინგლისური ენის მოსწავლეები იმისთვის, რომ მოსწავლეები გაკვეთილებს მიღმა არ აღმოჩნდნენ. კონკრეტულ პერსონებზე დამდგარი სისტემა, ცხადია, გრძელვადიან ჭრილში უიმედოდ გამოიყურება. ისევე ღაღოს სიტყვებით რომ დავასრულო: „უმნიშვნელოვანესია, თითოეულმა მოსწავლემ, განათლების მუშაკებმა, განათლების სამინისტრომ სისტემაში არსებულ პრობლემებზე ღიად და თამამად ილაპარაკონ“ – ეს პრობლემის სისტემურად გადაჭრისთვის აუცილებელი პირობაა, თორემ, მისი სოციალური გაკვეთილები რომ კიდევ ბევრ სიკეთეს მოიტანს, რასაკვირველია, ამაში ეჭვი არავის ეპარება.



ქართულმა სტუდენტებმა გერმანიაში ანაზღაურებადი პრაქტიკა გაიარეს

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) ერთობლივი ძალისხმევით, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, პროფესიული და უმაღლესი განათლების სტუდენტებმა გერმანიაში ხუთთვიანი ანაზღაურებადი პრაქტიკა გაიარეს. წარმატებულ კურსდამთავრებულებს გერმანული სერტიფიკატები გადაეცათ. პროექტის მონაწილეებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, თამარ ქიტიაშვილმა, ონლაინ ფორმატში, სიტყვით მიმართა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

„ინტერნაციონალიზაცია პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მეტი გაცვლითი პროგრამა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სექტორის განვითარებას აუცილებლად დააჩქარებს. გისურვებთ წარმატებას და მჯერა, რომ ეს გამოცდილება მომავალში ხელშეწყობს შედეგს მოგიტანთ. ვიმედოვნებ, რომ მეტი ახალგაზრდა მოგზაობავთ და გამოიყენებთ განვითარების შესაძლებლობას. ეს პროგრამა არის პირველი ნაბიჯი, რომელიც მომავალი, უფრო ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის საწინდარია სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების სფეროში,“ – განაცხადა თამარ ქიტიაშვილმა.

საერთაშორისო პრაქტიკა ეფუძნება „სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას“ და მომავალ ფერმერებს სოფლის მეურ-

ნეობაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას სთავაზობს. პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ სტუდენტებმა საქართველოში გაიარეს გერმანული ენის კურსი, რომლის დასრულების შემდეგ გაემგზავრნენ გერმანიაში და მუშაობდნენ გერმანულ საოჯახო მეურნეობებში. პრაქტიკული კომპონენტის პარალელურად, სტუდენტებისთვის გაიმართა სასწავლო ტური და ონლაინ სემინარები სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

საერთაშორისო პრაქტიკა გაეროს პროექტის „პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია“ ფარგლებში განხორციელდა, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობაში ჩართულ სხვადასხვა ქვეყნის ფერმერებს, კომპანიებს, კოოპერატივებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება და გაძლიერება. საერთაშორისო პრაქტიკა, სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, AgrarKontakte International-ის (AKI) და IDLG-ის (საერთაშორისო და დისტანციური განათლება საქართველოში) ორგანიზებით განხორციელდა.

70 მილიონი დოლარი პროფესიული განათლების განვითარებისთვის

აზიის განვითარების ბანკმა (ADB), საქართველოში, პროფესიული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 70 მილიონი აშშ დოლარი გამოყო.

სექტორული განვითარების პროგრამა „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და აზიის ბანკის ერთობლივი თანამშრომლობით შეიქმნა და საქართველოს განათლების სისტემაში ADB-ის პირველი ინვესტიციაა. პროგრამა მიზნად ისახავს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში, თანამედროვე სამუშაო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

2013 წლის შემდეგ პროფესიული განათლება ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად ჩამოყალიბდა და ევროკავშირის დახმარებით, 2018 წელს, საქართველოს პარლამენტმა პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი მიიღო. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკისა და ინსტიტუციური ჩარჩოს შემდგომ გაძლიერებას; მხარს დაუჭერს სფეროში მიმდინარე რეფორმებს, კერძოდ კი, კერძო-საჯარო პარტნიორობის პრინციპებზე დაყრდნობით, სისტემის მოწყობისა და მართვის ახალი მოდელის დანერგვას და შრომის ბაზარზე მორგებული კვალიფიკაციების მიწოდებას.

კოვიდ-19-ის გამოწვევების გათვალისწინებით, სექტორული განვითარების პროგრამა შექმნილია იმ დარგების გასაძლიერებლად, რომლებიც პანდემიისთან გამკლავებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ან ეკონომიკურ გაჯანსაღებაში შეაქვთ წვლილი, მაგალითად, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სამედიცინო და ფარმაცევტული წარმოება.

პროექტი, ასევე, დააფინანსებს უნარების განვითარების ორი ინოვაციური ჰაბის შექმნას ქუთაისისა და თელავის არსებულ პროფესიულ სასწავლებლებში, სადაც ხელი შეეწყობა ისეთ პრიორიტეტულ დარგებს, როგორებიცაა: ელექტრონული ინჟინერია, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამედიცინო და ფარმაცევტული წარმოება, მოდა და დიზაინი, წყლის ინჟინერია, ავეჯის წარმოება და სადურგლო საქმე და მომსახურება (მასპინძლობა და ტურიზმი).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის კომპონენტი, რომელიც პროგრამის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოეწყობა თანამედროვე სახელსწიფო და რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას სხვადასხვა პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა მიეცემა.

ევროკავშირისა და სხვა დონორთა მხარდაჭერასთან ერთად, აღნიშნული პროგრამა უდიდეს წვლილს შეიტანს პროფესიული განათლების რეფორმის მასშტაბის გაზრდაში და აისახება ახალგაზრდებისა და ზრდასრული მოსახლეობის კეთილდღეობაზე, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის პროცედურები უახლოეს მომავალში დასრულდება.

რეპორტი

ინოვაციების ცენტრი – მესტიის ახალგაზრდების ციფრული გზამკვლევი

ლალი ჯალაძე

პროექტი „ინოვაციების ცენტრი – მომავლისთვის“, მესტიის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მილიონიანი ბრანტის ფარგლებში ხორციელდება და მას ზემო სპანეთში მოქმედი სათემო ორგანიზაციის „გაგაქლიეროთ სოფლად ახალგაზრდები“ უდგას სათავეში. პროექტის იდეის ავტორი და განმარტებულია მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის საჯარო სკოლის (დირექტორი – გულუ ვიზიანი) პედაგოგი, ორგანიზაციის „გაგაქლიეროთ სოფლად ახალგაზრდები“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ეკა ნულუკიძე.

პროექტის მიზანი მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის (14-29 წლამდე), არაფორმალურ გარემოში, STEM და STEAM განათლების მიღებისთვის სათანადო პირობების შექმნა – STEM განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ზემო სპანეთის სკოლებში მისი დანერგვის ხელშეწყობა. საბოლოო მიზანი კი, ახალგაზრდული პლატფორმის ჩამოყალიბებაა, რომელიც ორიენტირებული იქნება იმ მცხოვრებ ახალგაზრდების პრობლემების გადაჭრასა და აქტიურ მოქალაქეებად აღზრდაზე.

სწორედ ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარის ახალგაზრდულ ცენტრში, მოხდა ინოვაციების ცენტრი, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიური და ელექტრონული მოწყობილობებით აღიჭურვა.

➔ შეიქმნა სასწავლო პურსები:

- 1) პროგრამირება და ანიმაციები;
- 2) რობოტეკნიკის საფუძვლები;
- 3) რეალურ-ვირტუალური საგანმანათლებლო პროექტების მათემატიკური მოდელირება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- 4) corel.

სასწავლო პროცესში, მესტიის მუნიციპალიტეტის 10 თემიდან, 25 ახალგაზრდა ჩაერთ. 3 თვეა, ისინი STEM და STEAM მიმართულებით განათლებას უფლებიან, კვირაში ერთი დღე კი, პრაქტიკულ სამუშაოებს ეთმობა. ახალგაზრდები ფარის ინოვაციების ცენტრში მიდიან და თეორიულ ცოდნას არდუინოს პროგრამის შესასწავლად იყენებენ.

➔ რა სახის ცოდნას იღებენ ახალგაზრდები?

მონაწილეები სწავლობენ Adobe Flash Professional CS6 პროგრამის გამოყენებას, ქმნიან სასწავლო რესურსებს, რომლის დანერგვა შესაძლებელია სასწავლო პროცესში, როგორც ციფრული რესურსის.

სწავლობენ რობოტეკნიკის საფუძვლებს, შესაძლებლობა აქვთ, საფუძვლიანად გაეცნონ ფიზიკა-მათემატიკის ძირითადი პრინციპების გამოყენებას საინჟინრო ტექნოლოგიაში. ამის გარდა, გაიღრმავონ ცოდნა საბუნებისმეტყველო საგნებში და შეძლონ ცოდნის ტრანსფერი რეალურ ცხოვრებაში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები თავად ემზადებიან, შექმნან ინოვაციური ტექნოლოგია და მუდმივად განვითარებადი ახალი ტექნოლოგიების სამყაროში კონკურენტუნარიანები გახდნენ.

„პროექტი ხელს უწყობს, რომ ახალგაზრდებს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება ჩამოუყალიბდეთ, მაღალი ტექნოლოგიების დაუფლების ინტერესი გაუჩნდეთ, საინჟინრო და საკონსტრუქტორო უნარები გამოუმუშავდეთ, მოდელირებისა და კონსტრუქციების პროცესში, შეძლონ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ სხვადასხვა ტიპის ამოცანა,“ – ამბობს

პროექტის იდეის ავტორი.

სასწავლო კურსს მონეველი წარმატებული და საერთაშორისო გამოცდილების სპეციალისტები ხელმძღვანელობენ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ვირტუალური მოდელირებისა და კონსტრუქციების ცენტრის ხელმძღვანელი, ვირტუალურ-რეალური ლაბორატორიის ავტორი დავით სონულაშვილი; წმ. ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის STEM-ის პედაგოგი, მასწავლებლის სახლის მიერ 2019 წლის საუკეთესო ისტ პედაგოგის კონკურსის გამარჯვებული, 2017 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსის ათეულის წევრი ტოლია (უტა) კილასონია; პროგრამისტი-ანიმატორი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის – buki.ge – სასწავლო-შემეცნებითი რესურსების ავტორი ილია სონულაშვილი.

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული კლუბი – „ROBO SPACE-რობოსივრცე“, რომელიც ორიენტირებულია ახალგაზრდული იდეების განხორციელებაზე, სვანეთის ახალგაზრდებისთვის STEM განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებასა და ახალგაზრდული პრობლემების გადაჭრაზე.

კლუბის საქმიანობის ფარგლებში, ტარდება სხვადასხვა ტრენინგები, კიბერუსაფრთხოებასა და ხელოვნურ ინტელექტზე, ასევე, დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარებაზე. „მსგავსი ცენტრი და პროექტის შინაარსი, პირველია მესტიის მუნიციპალიტეტში. ცოდნა, რომელსაც ახალგაზრდები აქ მიიღებენ, დიდ გამოცდილებად დარჩება ჩვენს რეგიონს. დღეს, სკოლებში, არ გვაქვს ლაბორატორიები, რითიც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება უფრო საინტერესო იქნება მოსწავლეებისთვის, ისინი ვერ ხედავენ კავშირს ნახევალსა და რეალურ ცხოვრებას შორის, უჭირთ ცოდნის ტრანსფერი. ეს პროექტი ხელს უწყობს სწორედ იმის დანახვას, როგორ გამოიყენონ მოსწავლეებმა სკოლაში მიღებული ცოდნა სხვადასხვა ფიზიკური კანონზომიერების ამოსახსნელად და ინოვაციური პროდუქტის შესაქმნელად. მონაწილეებისთვის დღითი დღე საინტერესო ხდება ფიზიკის, მათემატიკისა და ქიმიის შესწავლა, რადგან ხედავენ მათ კავშირს იმ გარემოსთან, რომელშიც ცხოვრობენ. ამ მეთოდის საგაკვეთილო პროცესი თანამედროვე სუპერ ტექნოლოგიების მიღწევებს ემყარება, ამ ტექნოლოგიების დანერგვისა და რეალიზების პროექტებს მოიცავს, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს, გაეცნოს ფიზიკურ მოვლენებს, პროგრამირების საფუძვლებს, მარტივი ალგორითმების შექმნას და მათ გამოყენებას როგორც ვირტუალურ, ასევე რეალურ გარემოში.

მსგავსი გაკვეთილები ემყარება ცოდნის მიღებას, რაიმე ბუნებრივი მოვლენის ან მზა ობიექტის (მაგ., მექანიზმის, მოწყობილობის, მოდელის და ა.შ.) დეტალურ შესწავლას.

პრაქტიკული სამუშაოები ანალოგიური მოწყობილობების შექმნის პროცესში მონაწილეობას გულისხმობს, მოსწავლეები შეძლებენ მარტივი მექანიზმების შექმნასა და დაპროგრამებას, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს მათ ცოდნას და შესძენს გამოცდილებას.

პროექტების რეალიზების პროცესი, ამავედროულად, სხვადასხვა მოვლენის კვლევისა და ძირითადი გააზრების საშუალებას წარმოადგენს. – ამბობს ეკა ნულუკიძე.

მესტიის მუნიციპალიტეტის საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებსა და საჯარო სკოლების დირექტორებს, პროექტის ფარგლებში, ტრენინგებიც ჩაუტარდეთ – „როგორ ვიმზადოთ ახალგაზრდები თანამედროვე გამოწვევებისთვის და ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენება საბუნებისმეტყველო საგნის სწავლებისას“. ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესში ვირტუალური ლაბორა-



ტორიების დანერგვა, რადგან ამით გაკვეთილი საინტერესო ხდება და, რაც მთავარია, მოსწავლეებისთვის იოლად გასაგები და აღსაქმელია სხვადასხვა მოვლენის არსი, ამასთანავე, სასწავლო პროცესი მხოლოდ სახელმძღვანელოზე აღარ არის მიჯაჭვული.

როგორც პროექტის ხელმძღვანელი გვიამბობს, ძალიან გაიზარდა ინტერესი მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისადმი. პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა საგნებში, საგანმანათლებლო რესურსები იქმნება, რაც მასწავლებლებს ძალიან ეხმარებათ, მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარებაში და მთავარ მიზანთან დაახლოებაში – ხელშეახები გახადონ STEM და STEAM განათლების დანერგვა და გაზარდონ მასზე ხელმისაწვდომობა.

➔ პროექტში ჩართული მოსწავლეები

აბაყოფილები გვიამბობენ პროექტის შესახებ:

სანდრა ფირცხელანი, მესტიის მუნიციპალიტეტის ლატალის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე: „წარმოუდგენლად საინტერესო და დატვირთული 3 თვე გავიდა და ჩვენი ცოდნა გაორმაგებულია, თუნდაც ისეთ საგანში, როგორც არის ფიზიკა. ამ სამ თვეში პროგრამირების რამდენიმე დარგი შევისწავლე, კლუბი ჩამოვყალიბე, სხვადასხვა ტრენინგებს ვესწრებოდი და ეს დიდი გამოცდილება იყო თითოეული ჩვენგანისთვის.“

ნინო ქურდიანი, დაბა მესტიის №3 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე: „პროექტით მივიღე უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება, ბევრი ისეთი რამ ვისწავლე, რაზეც აქამდე წარმოუდგენა არ გვქონდა, საკმაოდ კარგი გამოცდილება დაგვიტოვდა. დიდი მადლობა პროექტის წარმომადგენლებს ამ შესაძლებლობისთვის.“

კლუბი „რობოსივრცის“ ყველაზე პატარა მონაწილე, მე-7 კლასის მოსწავლე **ავთანდილ გაბულდანი** ამბობს, რომ პროექტი იმდენად მნიშვნელოვანი და საინტერესოა მისთვის, დასრულების შემდეგაც, ალბათ, მსგავსი პროექტების მოძიებით დაკავდება. პროფესორი უკვე შერჩეული აქვს – რობოტეკნიკის ინჟინერი უნდა გამოვიდეს: „ბეროს საჯარო სკოლაში ესწავლო. ერთი რობოტი უკვე შევქმენი, თუმცა, ბოლომდე არ მაქვს დასრულებული. ვაპირებ, რობოტს ტუმბოები მივუერთო და, ფაქტობრივად, სარწყავი აპარატი იქნება, რომელიც ეზოში ივლის და მცენარეებს მორწყავს. ჩემი აზრით, უფრო რთული რამის შექმნასაც შევძლებ. შეიძლება ადამიანის ოთხფეხა მეგობარი რობოტი ვაგნო, რომელიც საიმარო მოქმედებებში მონაწილეობას შეძლებს იმ მიზნით, რომ დაჭრილ ადამიანებს დაეხმაროს. საერთოდ კი, ძალიან სასარგებლოა ამ პროექტში მონაწილეობა, რაც შეიძლება მეტი ბავშვი უნდა ჩაერთოს. ბევრ სასარგებლო რამეს გაიგებენ, შეძლებენ გახდნენ არა მარტო მომხმარებლები, არამედ მწარმოებლებიც. თან აქ მიღებული ცოდნა სკოლაშიც გამოიყენებ, განსაკუთრებით ფიზიკაში, რადგან რობოტეკნიკის მასწავლებელი, როცა რამეს გვიხსნის, ფიზიკაზეც გვესაუბრება.“

„ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა მიმართ უზომოდ დიდი მადლიერების განცდა მეუფლება და მინდა, მათ მადლობა გადავუხადო. როცა პროექტი „ინოვაციების ცენტრი – მომავლისთვის“ დაიწყეთ, ძალიან ბევრი ადამიანი გამოგვხვდა და გვერდში დაგვიდგა იმისთვის, რომ ახალგაზრდებს სვანეთში მეტი და მეტი ინოვაციური ცოდნის მიღების შესაძლებლობა გასჩნოდათ. პროექტში მართლაც უნიჭიერესი ახალგაზრდები არიან ჩართული, რომლებიც ციფრულ სამყაროში საკუთარ გზას მიიკვლევენ და ის შრომა, რომელიც თან ახლავს პროექტის მართვას, მით უფრო, ამ ურთულეს ეპიდემიის დროს, მათთვის ნამდვილად ღირს.“

რას ვაკეთებთ ინოვაციების კლუბში? – ვინვეთ ახალგაზრდებს, მესტიის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ვსწავლობთ პროგრამირებას, ვქმნით ანიმაციებსა და ვირტუალურ სასწავლო რესურსებს, ვსწავლობთ ელექტრონიკასა და რობოტეკნიკის საფუძვლებს; ვსწავლობთ დიზაინის შექმნასა და სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებას. ძალიან ვამაყობ ჩვენი ახალგაზრდებით და, რაც მთავარია, მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ჩვენი ინოვაციების ცენტრით დაინტერესდა.“ – ამბობს ეკა ნულუკიძე.



არა ბულინგს – ძალადობის სანიშნავი კვირული

სსიპ ქალაქ თბილისის №104 საჯარო სკოლა (დირექტორი – ირინა ჟამკოჩიანი) ჩაერთო ძალადობის სანიშნავი დეგო კვირული პროექტში, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, 2020 წლის 16 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე, დაგეგმა სკოლებში. კვირული ონლაინ სივრცეში ჩატარდა. კამპანიის მიზანი იყო: ძალადობის პრევენცია და სკოლებში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა; ბულინგის, უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით მოსწავლეების, მათი მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ცნობიერების ამაღლება.

კვირულის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა, **გულნორა ბაბაიანმა** მოსწავლეებს დისტანციურ რეჟიმში ჩაუტარა ორი გაკვეთილი ძალადობის თემაზე; მე-9 და მე-10 კლასების დამრიგებლებმა – **იზაბელა აბრამიანი** და **ალინა ავეტიანი**, პროექტის ფარგლებში, დისტანციურ რეჟიმში, ძალადობის თემაზე ჩატარეს კლასის საათი.

ვინაიდან ბულინგის თემა ძალიან აქტუალურია, ყველა კლასის (I-XII კლასი) დამრიგებლებმა, დისტანციურ რეჟიმში ჩატარეს კლასის საათი – „არა ბულინგს“, მოსწავლეებთან ბულინგის შესახებ ისაუბრეს, მისცეს რეკომენდაციები და რჩევები, მოისმინეს მათი მოსაზრებები; ჩატარდა აგრეთვე სასკოლო კონკურსი, სახელწოდებით – „არა ძალადობას! ძალა უფლებას!“. IX-X კლასების მოსწავლეებმა, ბულინგისა და კიბერბულინგის თემაზე, ელექტრონული სახის საინფორმაციო ფლაერები შექმნეს; იგივე თემა I-VIII კლასების მოსწავლეებმა ნახატების სახით წარმოადგინეს, ხოლო IX-XII კლასელებმა – ესეების სახით. ყველა კლასის მოსწავლე აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნულ პროექტში, ისინი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ სამუშაო პროცესს; აქტიურად ჩაერთვნენ ძალადობის სანიშნავი დეგო კვირულის პროექტში მშობლებიც, რომელთათვისაც დამრიგებლებმა დისტანციურად ჩატარეს მშობელთა კრებები ძალადობის თემაზე; ბულინგისა და კიბერბულინგის თემას მიეძღვნა, აგრეთვე, მრჩეველთა საბჭოს სხდომაც.

ბთსაპაზომთ, კვირულის ფარგლებში დაწერილ ესეებს



ლიანა ჯამბურაძე
X კლასის მოსწავლე

ძალადობა ყველგანაა, ყველა ქმედებაში, სიტყვაში და გამოხედვაში იმალება. არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ჰქონდეს პირდაპირი თუ ირიბი შეხება ამ თემასთან. ყველა ებრძვის ძალადობას, დიახ, ებრძვის, გააკვეთილნილად, ბრძოლაც ძალადობის და აგრესიის გამოხატველია. აგრესიას აგრესიით ვერ ჩავხშობთ. მაშინ რა უნდა ვქნათ? მო-

ვუყრუოთ? ესაა გამოსავალი? არა, გამოსავალი სწორი გზით მიღებული განათლებაა. ძალადობის კერა გაუნათლებლობა როგორც სულიერი, ისევე ამქვეყნიური. დღესდღეობით ქართველი ხალხის შეგნებაა, რომ ძალადობის გარეშე არაფერი გადამწყდება. გაიხედოთ ქუჩაში: გამვლელები ისე გიყურებენ, თითქოს შენი შეჭმა უნდათ. შევიხედოთ ოჯახებში: ქმარი ცოლზე ძალადობს ან ორივე ერთად შვილებზე. აი, ეს არის სიმართლე, ძალადობას ებრძვიან და, ამავდროულად, თვითონ ქმნიან მას. რთული შესამჩნევი არაა, რომ ჩვენს ქვეყანაშიც აგრესიული გარემოა. სანამ ყველა არ გაითავისებს, რომ ძალადობით მხოლოდ თავის თავს კი არა, მთლიანად გარემოს და ქვეყნის პრესტიჟს ვნებს, სანამ განათლების დონე არ აიწევს, სანამ სულიერების დონე არ აიწევს და სანამ ყველა არ გაითავისებს, რომ ამ ქვეყნიდან გაქცევა გამოსავალი არაა, მანამ დაგრჩებით ძალადობის ჭაობში, რომელიც, სამწუხაროდ, ქვეყნით და ქვეყნით გვითრევს. სანამ დროა, გონს მოვეგოთ და ჩამოვყალიბოთ ისეთი საზოგადოება, სადაც ზიზღისა და ძალადობის მაგივრად, სიყვარული და სიხარული იმეფებს.



გვორკა პერიკაშვილი
XII კლასის მოსწავლე

ბულინგი დღესდღეობით ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს მასშტაბით. იგი თითქმის ყოველი ეპოქის თანამდევია მოვლენაა, თუმცა, პრობლემა განსაკუთრებით ბოლო წლებში გამწვავდა.

ბულინგი არის ძალადობის ერთ-ერთი სახე, რომელიც ხშირად გამოიხატება ფიზიკური ძალადობის სახით. ბულინგს, ფიზიკური ძალადობის გარდა, გააჩნია სხვა სახეებიც: ვერბალური, ფარული ბულინგი და კიბერბულინგი.

ბულინგი ხშირად გვხვდება სკოლებში, სადაც ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. ხშირად სკოლებში ბულინგის წყაროს ბულების თვითმეფასების დაბალი უნარიანობა წარმოადგენს, რის გამოც ისინი ცდილობენ თავიანთი კომპლექსების დაფარვას მსგავსებულ ძალადობის მეშვეობით. ბულინგის წყარო ასევე შეიძლება იყოს შურიც.

ბულინგის პროცესში მონაწილეობს ორი მხარე ბულიერი და მსხვერპლი.

მოდალადე-ბულიერი

მოდალადე და მსხვერპლიც ორივე მსხვერპლია. ძალიან ხშირად მოძალადე-ბულიერს მიაჩნია, რომ სხვებზე უნდა ბატონობდეს და ამის უფლება აქვს. ხშირად გააჩნია ფიზიკური უპირატესობა თანატოლებთან. იმპულსურია, ადვილად აღგზნებადი. მიაჩნია, რომ იმსახურებს ლიდერობას. ზოგჯერ არ შეუძლია კომპრომისებზე წასვლა. დარწმუნებულია თავის უპირატესობაში და ა.შ.

მსხვერპლი

მსხვერპლი ძალიან ხშირად ის ადამიანია, რომელსაც საკმაოდ მაღალი შფოთვის დონე აქვს. ადამიანი, რომელიც თავს გრძობს დაჩაგრულად, აქვს ძალიან დაბალი თვითმეფასება. ადამიანი, რომელიც შეიძლება იყოს, არ მინდა ვთქვა მშობარა, მაგრამ არა სხვებზე თამამი, მორცხვი, ჩაკეტილი, ზედმეტად მგრძობიარე, რომელიც მიდრეკილია დეპრესიისაკენ. ფიზიკურად სუსტი ადამიანი, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ბულინგის მსხვერპლი.



მარიკა კაზაროვი
XI კლასის მოსწავლე

ბულინგი – ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, ზენოლა ადამიანზე. ბულინგისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მოვლენა არის არათანაბრობა. როგორც წესი, ბულინგის გამომწვევი ფაქტორებია: ლიდერობისთვის ბრძოლა, სხვადასხვა სუბკულტურების შეჯახება, ღირებულებები, შეხედულებები და მათ მიმართ ტოლერანტობის არარსებობა, დაბალი თვითმეფასება, ფიზიკური დეფექტები, სოციალური სტატუსი, განსხვავებული რელიგიური მრწამსი, განსხვავებული შეხედულებები ხშირად მოზარდებში დამამცირებელი მოპყრობის, სიძულვილის ენით ურთიერთობის და ზოგჯერ ფიზიკური ძალადობის მიზეზიც კი ხდება. ყველაფერი ეს სათავეს მაინც არასწორი აღზრდიდან იღებს, რაშიც ოჯახი მოიაზრება, თუმცა, გარემო ფაქტორებსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ბულინგი სოციალური მოვლენაა და დამახასიათებელია, ძირითადად, ორგანიზებული ბავშვთა კოლექტივისათვის. ხშირ შემთხვევაში ბავშვი, რომელიც არის ჩავრის მსხვერპლი, არ საუბრობს საკუთარ პრობლემებზე მშობლებთან. თუმცა შეიძლება არსებობდეს ნიშნები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვს ჩავრავენ და სჭირდება უფროსების მხარდაჭერა. ამ ნიშნების დროულად იდენტიფიცირებისთვის მშობელი ყურადღებით უნდა დააკვირდეს ხომ არა აქვს ადგილი ცვლილებებს შვილის ქცევებში.

თუ ბავშვი ბულინგის ზენოლის ქვეშაა, მასთან აუცილებლად შეიძლება გამოვლინდეს ძალადობისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ძირითადი ქცევა, ეს არის: უხალისოდ სკოლაში წასვლა; სკოლიდან უხასიათოდ და დეპრესიულად დაბრუნება; გარკვეული მიზეზების გარეშე ხშირად ტირილი და ა.შ.

გოგონების შემთხვევაში ბულინგი შეიძლება გამოვლინდეს მათზე ცრუ ჭორების გავრცელებით, ხოლო ბიჭების შემთხვევაში ეს ზენოლა, ძირითადად, ფიზიკურად ვლინდება.

ბულინგის შეჩერება შესაძლებელია, თუ ადამიანები ყურადღებით იქნებიან და სათანადო ზომებს მიიღებენ. ბავშვები, რომლებიც ბულინგის მსხვერპლი გახდნენ, უნდა იყვნენ, უფროსების მხრიდან, მხარდაჭერილი და დაცული.

ჩემი დისტანციური გაკვეთილი

დღეს, როცა მთელი მსოფლიო ვირუსის გამო სახლშია გამოკეტილი, გაკვეთილები სკოლებში ტარდება დისტანციურად. მომწონს თუ არ მომწონს, მოსწავლეებს ვესალმები ვირტუალურ გარემოში. ახალია, რთულია, მაგრამ საინტერესო. განათლების სისტემასთან ერთად შეიცვალა ჩემი ცხოვრების სტილიც. შეიცვალა სამუშაო ცხრილი, დრო და გაკვეთილის ხანგრძლივობა. თავდაპირველად შიში დამეუფლა, მაგრამ ყველა პრობლემას აქვს გამოსავალი. დამეთანხმება ალბათ ყველა პედაგოგი, რომ საკლასო პროცესს არაფერი შეედრება. მე პირდაპირი სწავლება მირჩევნია. მასწავლებელი თავისი ენერგიით ავსებს საკლასო ოთახს, სადაც კომუნიკაცია ადვილია. ვგრძობ, რას განიცდიან მოსწავლეები ახსნის პროცესში. ეს ჩანს მიმიკებით, ფესტით, რეაქციებით, ონლაინ სწავლების დროს კი ეს ყველაფერი შეიძლება დაიკარგოს. თუმცა, ვფიქრობ, დისტანციურ სწავლებას ბევრი დადებითი მხარე აქვს, გამჭვირვალე პროცესია. ყველაზე მოსაწონი მხარეა მშობელთა ჩართულობა. მშობელი უკეთ ხედავს როგორც მასწავლებლის, ასევე საკუთარი შვილების შესაძლებლობას. ხედავს მასწავლებლის განუღებ შრომას. სკოლამ და მშობელმა თანაბრად გაინაწილა პასუხისმგებლობა სწავლების პროცესში და ვფიქრობ, მათმა აქტიურმა ჩართულობამ განაპირობა სწავლების მაღალი ხარისხი. მშობლებმა დაინახეს, რომ მასწავლებელი იმაზე მეტს აკეთებდა, ვიდრე ჩანდა. საკუთარი თვალთ შეუძლიათ შეაფასონ თავიანთი შვილების მომზადების დონე.

მოსწავლეების ჩართულობა მაღალია. კოლოსალური შრომა გასწია განათლების სამინისტრომ. სკოლებს შესთავაზა სასწავლო პროექტი „Teams“, რომელიც შეიქმნა ყველა მასწავლებლისათვის, მოსწავლისა და მშობლისათვის. გამართულია ელ. ფოსტა, გამზადებული დაგვხვდა საკუთარი კლასები, გასაჯაროებულია ინსტრუქციები, რაც პროგრამის შესწავლაში ძალიან დამეხმარა. მონოდეტულია რეკომენდაციები, დისტანციური სწავლების ცხრილი. თითოეულ პედაგოგს

სრულად გვინაზღაურდება განუღებ შრომა. მოსახერხებელია და ხელმისაწვდომია ჩატი, მესენჯერი, სადაც იღლევა დავალებები, ინფორმაციები. მოსწავლეს ვაწვდით ისეთ შემეცნებით-შემოქმედებით დავალებებს, რომლის შესრულებაც შესაძლებელია დამოუკიდებლად. ეს ამაღლებს, როგორც მოსწავლის, ისე მშობლის მოტივაციას. აი, ასე ნელ-ნელა ავანყვე ყველაფერი. ვატარებ „შებრუნებულ“ გაკვეთილებს, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეებს მივწოდებთ მასალა და თვითონ იკვლევენ, ეს კი ეხმარება მოსწავლეს სააზროვნო უნარის განვითარებაში.

დროული იყო ასევე საინტერესო პროექტი „ტელესკოლა“ – მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რესურსი. შექმნილი სიტუაციიდან ეს პროექტი საუკეთესო გამოსავალი იყო. ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება ნახოს და დაესწროს საინტერესო გაკვეთილებს ყველა საგანში.

თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღო მასწავლებლის სახლამაც. სისტემატურად ტარდება ტრენინგები (კარგი იქნება მშობლებისთვისაც) ტექნოლოგიური მიმართულებით, რომელიც საკმაოდ ეფექტურია.

მოსწავლეები მუშაობენ. ჩვენც ვახერხებთ დასახულ მიზანზე გასვლას ესგ-ს სტანდარტის შესაბამისად. თუ რამდენად წარმატებული იქნება ეს პროექტი, ამას დრო გვიჩვენებს. სიამაყით მინდა აღვნიშნო ჩვენი სკოლის პედაგოგების პროფესიონალიზმი, დაუღალავი შრომა, რათა სწავლა იყოს ეფექტური.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიეღოთ ეროვნულ ოლიმპიადაში. სკოლა ამაცობს ნიჭიერი მოსწავლეებით, რომელთაც წარმატებით გადალახეს პირველი ტური.

რავინდ ბევრი საქმე გაგვიკეთოს დისტანციურმა სწავლებამ, ალბათ, მაინც ყველას გვირჩევნია ძველ გარემოში დაბრუნება, სადაც კომუნიკაციაა, სიცოცხლეა. არაფერი სჯობს დერეფანში მათ ჟრიაშულს.



იმედი მაქვს, მალე დავუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულებას, ჩვენი. ახ დავაჩოტო უფლის ხმენა. ჩვენ კი ჩვენი საქმე ვაეთოთ. გისუხვებთ ჯანმთიეობას!

ლიანა ნაცვლიშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის №104 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ბარა დაკვირვება



ანალოგია მექანიკურ და ელექტრომაგნიტურ მოვლენებს შორის

ნატია მიქაძე
ნალკის №1 საჯარო სკოლის ნამყვანი მასწავლებელი

დისტანციური გაკვეთილის გეგმა

საბანი: ფიზიკა
სწავლებლის საფეხური/კლასი: საშუალო/მე-11 კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 13 (სსსმ მოსწავლე არ არის)
გაკვეთილის თემა: ანალოგია მექანიკურ და ელექტრომაგნიტურ მოვლენებს შორის
გაკვეთილის ხანგრძლივობა: 40 წუთი
გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლე, ცხრილის საშუალებით, ადგენს ანალოგიას მექანიკურ და ელექტრომაგნიტურ რხევებს შორის;
- ადგენს, რომ რხევით კონტურში აღძრული თავისუფალი ელექტრონული რხევების დროს მუხტი, ძაბვა და დენის ძალა ჰარმონიულ რხევებს ასრულებს;

• ანალოგიების ცხრილის გამოყენებით, გამოჰყავს ტომსონის ფორმულა;
მოსწავლეები გაიუმჯობესებენ დაკვირვების, აღწერის, შედარების, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის, ცოდნის ტრანსფერის, ნიგნიერების, რაოდენობრივი ნიგნიერების, ციფრული ნიგნიერების, სემიოტიკური ნიგნიერების უნარ-ჩვევებს.
გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა პროგრამულ სწავლებლად გეგმის მოთხოვნებთან:
ფიზ. XI.6. მოსწავლეს შეუძლია ელექტრომაგნიტური რხევებისა და ტალღების დახასიათება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: პოულობს ანალოგიას მექანიკურ და ელექტრონულ რხევებს შორის.

ამ პერიოდისთვის მოსწავლეებმა: იციან მათემატიკური და ზამბარაიანი ქანქარას რხევები; აღწერენ მათ მოძრაობას ენერგეტიკული თვალსაზრისით; იციან ჰარმონიული რხევა; განმარტავენ კონდენსატორის დანიშნულებას, ელექტროტევადობას და დამუხტული კონდენსატორის ენერჯიას; განმარტავენ ინდუქციურობას და მაგნიტური ველის ენერჯიას; განმარტავენ რხევით კონტურს და ერთობლივად ახასიათებენ რხევებს ზამბარაიან ქანქარასა და რხევით კონტურში.
გაკვეთილის გეგმა შედგენილია ესგ-ს მე-11 კლასის ფიზიკის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნებისა და შინაარსის გათვალისწინებით. თემა შეესაბამება სასწავლო წლის მოცემულ პერიოდს, გაკვეთილის მიზანი მე-11 კლასში წლის ბოლოს მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარეობს.

№	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით)	დრო (წთ)
1	საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და საგაკვეთილო პროცესისთვის მზადება. აქტივობის მიზანი: მოსწავლეთათვის გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ესაუბრება კლასს, ადგენს კლასში დამსწრე მოსწავლეთა რაოდენობას, ახსენებს ონლაინ გაკვეთილზე ქცევის წესებს; აცნობს გაკვეთილის მიზანსა და გაკვეთილის მსვლელობის ორგანიზების ფორმებს. ასევე, აცნობს მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, რომლებსაც მოსწავლეთა შედეგების შესაფასებლად გამოიყენებს, აცნობს გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგს.	დემონსტრირება/ვერბალური ახსნა	მთელ კლასთან მუშაობა/ინდივიდუალური	• აქტივობების პრეზენტაცია წარმოდგენილი პოვერპოინტის საშუალებით. მოსწავლეებს ექმნებათ მზაობა გაკვეთილისთვის და, ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად, ადვილად განწყობიან.	25წთ
2	საშინაო დავალების გამოკითხვა, წინარე ცოდნის გააქტიურება აქტივობის მიზანი: შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმება; წინარე მასალის გახსენება და შემდეგი სამუშაოსთვის წინაპირობის მომზადება. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ადგენს, ხომ არ შეეძენათ მოსწავლეებს პრობლემა საშინაო დავალების მომზადებისას; ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, მოსწავლეთა ჩართულობით, განიხილავს საკითხს და აძლევს უკუკავშირს მოსწავლეებს. კითხვა-პასუხის რეჟიმში, მოსწავლეებს ახსენებს წინარე მასალას. 1. რას ეწოდება რხევითი კონტურში? 2. რატომ ვიყენებთ ანალოგიების მეთოდს ელექტრონული რხევების შესწავლისას? 3. მოკლედ აღწერეთ ზამბარაიანი ქანქარას და რხევითი კონტურის რხევები; 4. წარმოადგინეთ საშინაო დავალებაში მოცემული რხევითი კონტურში მიმდინარე რხევების ცხრილი.	ვერბალური ახსნა/კითხვა-პასუხი	მთელ კლასთან მუშაობა/ინდივიდუალური	• კომპიუტერი; მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებაში შევსებული ცხრილი; მასწავლებლის პრეზენტაცია https://www.vascak.cz/data/android/physicsatschool/template.php?s=ele_clmg&l=en მასწავლებლის კითხვები, ანიმაცია და საშინაო დავალების ცხრილი, რომელიც წარმოდგენილი აქვთ პრეზენტაციის სახით, ხელს შეუწყობს წინა საკითხების სისრულეში მოყვანას და მზაობას ახალი მასალის ასახსნელად.	85წთ
3	ახალი მასალის ახსნა აქტივობის მიზანი: ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებელი, ენერჯის მუდმივობის კანონის გამოყენებით, ხსნის ენერჯის გარდაქმნას რხევით კონტურში. სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ჰარმონიული რხევის განმარტება და უხსნიან ოსცილოგრაფის დანიშნულებას, როგორი კანონით იცვლება მუხტი, ძაბვა და დენის ძალა. მუხტის, ძაბვის და დენის ძალის ცვლილებების კანონზომიერების აღწერისთვის იყენებს შესაბამის ფორმულებს. ოსცილოგრაფის მუშაობის უკეთ გასააზრებლად, იყენებს ინტერნეტით მოძიებულ ანიმაციებს.	ინტერაქციული მინი-ლექცია, პრეზენტაცია	მუშაობა მთელ კლასთან/ინდივიდუალური	Power-point-ში შექმნილი საპრეზენტაციო მასალა; http://ui.trinine.net/2016/05/24/oscillograph/ ანიმაცია თვალსაჩინოს გახდის ასახსნელ მასალას.	75წთ
4	ახალი მასალის ახსნა: აქტივობის მიზანი: ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით დააკვირდნენ წინასწარ გადავარჯიშებულ ანალოგიების ცხრილს, რომელიც, ასევე, ჩანს პრეზენტაციაზე და ერთობლივად მსჯელობენ შედეგს. მოსწავლეების ჩართულობით, მასწავლებელი ავსებს გაზიარებულ, დაფაზე დახაზულ ცხრილს. კითხვა-პასუხის რეჟიმში კიდევ ერთხელ აზუსტებს ცხრილის შედეგებს. ამის შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ჰარმონიული რხევის სიხშირე და შემოაქვს ციკლური სიხშირის განმარტება. მოსწავლეები იხსენებენ ზამბარაიანი ქანქარას რხევის პერიოდის და სიხშირის გამოსათვლელ ფორმულას. ანალოგიების ცხრილის გამოყენებით, ადგენენ როგორი სახე ექნება რხევის პერიოდის და სიხშირის ფორმულას რხევითი კონტურის შემთხვევაში. მასწავლებელს შემოაქვს ტომსონის ფორმულის განმარტება. ბოლოს მოსწავლეებს უსვამს კითხვას: – გააანალიზეთ ტომსონის ფორმულა: როგორ შეიცვლება რხევითი კონტურში თავისუფალი რხევების პერიოდი, თუ C ტევადობა და L ინდუქციურობა იზრდება? მოსწავლეების პასუხის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, აკეთებს დამაზუსტებელ კომენტარს.	სწავლა კეთებით, დემონსტრირება	მუშაობა მთელ კლასთან/ინდივიდუალური	• Power-point-ში შექმნილი საპრეზენტაციო მასალა; • ანალოგიების ცხრილი. ანალოგიების ცხრილზე მუშაობა თვალსაჩინოს და მკაფიოს გახდის ასახსნელ მასალას.	125წთ
5	ამოცანების ამოხსნა მოსწავლეთა მიერ აქტივობის მიზანი: ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ პრეზენტაციაზე წარმოდგენილ ამოცანას და ამოხსნან დამოუკიდებლად რომელიმე ამოცანა, ან რამდენიმე (დანართი №2). თითოეულ ბარათზე მოცემულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომით შედგენილი კითხვა-ამოცანები: 1. კითხვა-ამოცანა, რომელიც საჭიროებს მიღებული ცოდნის გააზრებას; 2. კითხვა-ამოცანა, რომელიც საჭიროებს წინა და ახალი მასალის საფუძველზე მსჯელობას.	ამოცანის ამოხსნა	დამოუკიდებელი სამუშაო, პრეზენტაცია	• Power-point-ში შექმნილი საპრეზენტაციო მასალა	55წთ
6	აქტივობის მიზანი: გაკვეთილის შეჯამება-უკუკავშირის მიცემა მოსწავლეთათვის-განმავითარებელი შეფასება. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოკლედ აჯამებს გაკვეთილს, აკეთებს უკუკავშირს, სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით წაიკითხონ ჩატში microsoft forms-ის საშუალებით მიწოდებული გასასვლელი ბილეთი (დანართი №2). გასასვლელი ბილეთების გადახედვის შედეგებს მასწავლებელი მომდევნო გაკვეთილზე გაითვალისწინებს. მასწავლებელი შეფასების განმავითარებელი რუბრიკით აფასებს მოსწავლეებს.	ახსნა-განმარტებითი მეთოდი, გასასვლელი ბილეთის შევსება	მუშაობა მთელ კლასთან/ინდივიდუალური	საკვეთილო პროცესში ჩართულობის და მიღწევის დონის შეფასების რუბრიკა; გასასვლელი ბილეთი (დანართი №2) შეფასების რუბრიკები სამუშაოს შეფასების საშუალებას იძლევა, რაც მოსწავლეებს შემდგომი მუშაობის მიმართულებისა და სამუშაოს პრიორიტეტული კომპონენტების დანახვაში ეხმარება.	55წთ
7	საშინაო დავალების მიცემა აქტივობის მიზანი: გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცება, ათვისებული მასალის უკეთ გააზრება. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, ჩაინიშნონ დავალება: 1. მოამზადონ პრეზენტაცია თემაზე: „ელექტროსადგურების შესახებ“. გასამეორებელი მასალა: მე-10 კლასის სახელმძღვანელო; 2. მაგნიტური ინდუქციის ნაკადი; 3. ელექტრომაგნიტური ინდუქციის კანონი და მისი გამოსათვლელი ფორმულა. ჯგუფებს აქვთ დავალებების შერჩევის უფლება (თითო ჯგუფი ამზადებს ერთ პრეზენტაციას).	ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ინსტრუქტაჟი	მუშაობა მთელ კლასთან	სახელმძღვანელო, დავალება სლაიდზე	15წთ

ბარა დაკვირვება

გაკვეთილის ბოლოს მისალმნე შედეგები: • მოსწავლეს შეუძლია, ანალოგიების ცხრილის მიხედვით, ისაუბროს მექანიკურ და ელექტრომაგნიტურ რხევებზე; • ანალოგიების ცხრილის გამოყენებით, წერს ტომსონის ფორმულას; • განმარტავს ოსცილოგრაფს და ჰარმონიული რხევის დროს მუხტის, ძაბვის და დენის ძალის გამოსათვლელ ფორმულებს.

შეფასება:

დანართი №1 – საბაკვეთილო პროცესში ჩართულობის და მიღწევის დონის შეფასების რუბრიკა:


Table with 5 columns: კრიტერიუმები, დაბალი, საშუალოზე დაბალი, საშუალო, მაღალი. Rows describe criteria for understanding analogies, formulas, and oscillations.

დანართი №2

Table with 5 columns: რომელი საკითხი დარჩა ჩემთვის ყველაზე ბუნდოვანი, გავიგე, ვერ გავიგე, ნაწილობრივ გავიგე. Rows list topics like capacitor energy, resonance, and LC circuits.

დანართი №3

Table with 2 columns: ამოცანები. Contains two questions about resonance and LC circuits.



ჩვენს დღესასწაულს ასწავლის ნარინე ხაჩატურიანი

ნარინე ხაჩატურიანი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის №1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი

Table with 2 columns: №, ჩვენს დღესასწაულს. Contains 8 items related to Chinese inventions.

Table with 2 columns: №, ჩვენს დღესასწაულს. Contains 3 items with detailed descriptions and questions.

წესები

- 1. ჩვენს დღესასწაულს
2. ჩვენს დღესასწაულს
3. ჩვენს დღესასწაულს

ფასდასმის ობიექტები


Table with 5 columns: შუალედური და შედეგები, 9-10, 7-8, 4-5-6, 3-2-1. Rows describe evaluation criteria for the lesson.

მხატვარ ქამას ხელობა, რომელიც სიჭაბუკეობის სანაწივეს, როგორც სიჭაბუკეობის სანაწივეს, როგორც სიჭაბუკეობის სანაწივეს...

ერთი არაჩვეულებრივი გოგონა, 16 წლის თამარ ყიფიანი მიხდა გაბატონოთ, თვითნასწავლი მხატვარი ქამას ხელობა. მისი პორტრეტები, რომლებიც უსაზღვრო ემოციას გადმოსცემენ, სიჭაბუკეობის სანაწივეს, თამარის ემოციების მხატვარი, მისი პირველი პორტრეტის შთაბრძნავს დედის სახე იყო. პირველად სახლის კედელზე ხატავდა. ყირაბა ადამიანები, ცარცისფერ კედლებზე, მის ბავშვურ ემოციას გადმოსცემენ. თამარი სოფელ ზღუდერის საჯარო სკოლის მეთორმეტი კლასის მოსწავლეა. ახლა მისი ერთადერთი მიზანი არჩეული პროფესიის მალე დაუფლებაა.



◆ დავიბადე სოფელ ზღუდერში. ჩემი სოფელი, პატარაობიდან, უზომოდ მიყვარს. ხუთი წლისამ უარი განვაცხადე ქარელში საცხოვრებლად გადასვლაზე და ამავე ასაკში გავხდი ზღუდერის საჯარო სკოლის პირველკლასელი. დედა პედაგოგია, მამა – იურისტი. რად-



გან მუსიკა ძალიან მიყვარდა, ექვსი წლის ასაკში ქარელის მუსიკალური სკოლის მოსწავლე ვახდებდი, ფორტეპიანოს განხრით. მუსიკალური სკოლა უმალღეს ქულებზე დავამთავრე, ასევე წარჩინებით დავასრულე ცხრა კლასი და საჩუქრად კომპიუტერი გადმომეცა. თოთხმეტი წლის ასაკში მქონდა პირველი პერსონალური გამოფენა, რომელიც ქარელში მომინდო კულტურის სახლში. ვმონაწილეობდი კონკურსში „გაყინული ემოცია“, სადაც პირველი ადგილი მოვიპოვე და მეორე დღესვე გაიმართა ჩემი პერსონალური გამოფენა თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მიყვარს წერა. ვარ დამწყები პროზაიკოსი, ჩემი ნოველა დაიბეჭდა პროექტის „ახალგაზრდა ხელოვანი“ მიერ გამოცემულ ნიგნში. შემდეგ წელს, ამავე კონკურსში ხატვის განხრით ვმონაწილეობდი და ჩემი ნამუშევარი სამაგიდო კალენდრის ყდაზე დაიბეჭდა.



⇒ თამარ, გვიჩვენე შენს სოფელზე, ყოველდღიურ პრობლემებსა და საჭიროებებზე, დისტანციურ სწავლებასა და იმ რეალურებაზე, რომელიც პანდემიის გამო აღმოჩნდა...

◆ ჩემი სოფელი ძალიან მოწყენილია, რადგან აქ ისეთი ფუსფუსი აღარ არის, როგორც ადრე იყო... მაგრამ, ზაფხულობით ზღუდერი, ყურადღებისგან გათამამებული, მაინც ახერხებს სიცარიელის შევსებას. ბალახისფერად აყვავებული, მაღალ, ცისფერ მთებში ჩაკარგული სოფელი, გაუღწეველი ბუნების მუსიკის პანგებოთ და ყოველი მხრიდან მოდის ხმაურის ექო... ძამას წმინდა ხეობის სანახავად, ადამიანები სხვადასხვა მხრიდან მოდიან, სასულიერო პირები ტაო-კლარჯეთისად ადარებენ. სოფელი დასასვენებლად ყველაზე კომფორტული ადგილია, რადგან აქ, ქალაქის ხმაურიან ცხოვრებას მოსწყდება თუ არა ადამიანი, რელიგიური პერიოდში, ყველანაირი კომფორტი ექმნება. სოფელი ტურისტულად პერსპექტიულ ადგილასაა გაშენებული. გასულ წელს, ზღუდერი ერთ-ერთი ახალგაზრდული ბანაკის ლოკაცია იყო. მსგავსი პროექტები ეხმარება როგორც სოფლის განვითარებას, ასევე ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავებას.



სამწუხაროდ, სოფელი დაცლის პირასაა. აქ დარჩენილ ახალგაზრდებს არ აქვთ მრავალფეროვნების ფუფუნება და მოტივაცია. ვფიქრობ, ბავშვები არ უნდა დაისაჯონ მხოლოდ იმიტომ, რომ სოფელში დაიბადნენ. სკოლაც მოწყენილია, დაიცალა... აღარ ისმის პირველკლასელების ლალი კისკისი... წარმოიდგინეთ, კლასში ერთი მერხია, ერთი სკამი და ერთი პატარა ჩანთა, დერეფნებში კი „უხმაურო სიმშვიდე“ დაეხატება, მოსწავლეების მაგივრად. მაგრამ მაინც ძალიან გამომართლა, აქ რომ ვისწავლე... აქ მოსწავლეობები არაფრისგან ქმნიან მთელ სამყაროს, რომელშიც ხელჩაკიდებულები, ჩვენთან ერთად, მოგზაურობენ...



დისტანციური სწავლების მეთოდი, ამ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, კარგი გამოსავალია, მაგრამ ზღუდერის საჯარო სკოლის რეალობასთან აცდენილია, რადგან სოფელში საკაბელო ინტერნეტი არ არის. ძალიან რთულია და წარმოუდგენელი, ინტერნეტის გარეშე, იმუშაო დისტანციურად. რა თქმა უნდა, თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობ, თითქოს ჩემი სამყარო ერთ პატარა ეკრანშია მოქცეული. გაკვეთილის აღქმაც რთულია, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ერთადერთი გამოსავალია. სოფელში საკაბელო ინტერნეტი აუცილებელია, რათა ბავშვებმა დისტანციური გაკვე-

თილებით შეძლონ განათლების მიღება.

⇒ რა ასაკიდან დაიწყო ხატვა?

◆ ჩემი თავი არ მახსოვს ფურცლის ან ფანქრის გარეშე, გონებაში აღბეჭდილი პირველი მოგონებაც თეთრ კედლებზე დახატული ადამიანები იყო. როცა რამე მწყინდა, თავდაყირა ადამიანებს ვხატავდი, ცარცისფერი კედელი იყო ჩემი თავმესაფარი. დაახლოებით სამი წლის ვიყავი, ფანქარი პირველად რომ დავიჭიროე ხელში...

⇒ ვინ ან რა იყო შენი პირველი ნახატის შთაბრძნავი წყარო?

◆ გაუცნობიერებლად, ყოველთვის, ადამიანებს ვხატავდი, ყველა დედაჩემს ჰგავდა... პირველი პორტრეტის შთაბრძნავი დედა იყო.

⇒ ვინ არიან შენი ნამუშევრების პროტოტიპები – რეალური ადამიანები თუ გამომგონილი პერსონაჟები?

◆ ჩემი ინსპირაციის წყარო ადამიანის სახეა, სავსე ემოციით და ღრმა გამოხედვით. მე ვხატავ ადამიანის სახეებს, რომლებიც სიჭაბუკეობის მეტყველებენ, ხშირად ვხატავ ავტოპორტრეტებს, ამით თითქოს საკუთარი სამყაროს იდუმალი პერსონაჟი ვხდები...

⇒ შენ მიერ ნაქმნი ნიგნის ლიტერატურული პერსონაჟი თუ დაგიხატავს?

◆ დიახ, ჩემთვის, ნიგნებს შორის, ფავორიტი „ოსტატი და მარგარიტა“, კითხვის პროცესში საკმაოდ გამიტაცა მისტიურმა სამყარომ და ვოლანდის პერსონაჟმა. სწორედ ბულგაკოვის კითხვის პარალელურად, დავინყე ადამიანების ხატვა სხვადასხვა ფერის თვალებით.

⇒ ნამუშევრებში დიდ ემოციას და, ძირითადად, ადამიანის სევდას ხატავ. პერსონაჟების უმეტესობა დარდს და ტიპიურ გადმომგონებას... როგორია შენი, როგორც „ემოციების მხატვრის“ თვალში დანახული თანამედროვე ადამიანი, დღევანდელი რეალობა?

◆ თანამედროვე რეალობა საკმაოდ ცივია. ჩემი ერთ-ერთი ოცნება იყო, სხვა საუკუნეში დავბადებოდიყავი, არ მომწონს ვირტუალური ურთიერთობები. ჩვენ, ძირითადად, ემოციურად დაცარიელებულები და დათრგუნულები ვართ. ხშირად, ნეგატივით ვიკვებებით. მართალი ხართ, ძირითადად, სევდას ვხატავ, იმას, რაც ჩემს სულს თან ახლავს და იმას, რასაც სხვის „სულში ხეტილის“ დროს ვპოულობ.

⇒ როგორ იზადავა იდეა ახალი ნამუშევრის შესაქმნელად? საინტერესოა, იმ მომენტში, როგორია შენი განწყობა. ხატვა მამინ, როცა ხარ ალექსანდრე, მხიარული, პატივითი, სევდიანი თუ...

◆ არასოდეს დამიხატავს ბედნიერების დროს... სულიერი ფორიაქი, აღელვება იწვევს ჩემს ქვეცნობიერს დასახატად, ჩემთვის ძლიერი მუხტი ტრაგედიას მოაქვს. ტრაგედია აიძულებს ადამიანს, გახდეს უფრო ღრმა და იდუმალი...

ჩემი ნახატების ნახვისას დამთვალეირებული თითქმის ყოველთვის აღნიშნავს, რომ ისინი სავსეა ემოციებით და ეს ემოციები გულწრფელია. იმასაც ამბობენ, რომ ნახატი ცოცხალია, შეეხები და თითქოს ისიც გრძნობს ამ შეხებას...

⇒ რამდენ ნამუშევარს ითვის შენი კოლექცია და რომელია შენთვის განსა-

კუთრებული?

◆ ყველას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩემს გულში. თითოეული მათგანი ჩემი არსების ნაწილია. 14 წლისას უკვე 70-ზე მეტი ნამუშევარი მქონდა.

⇒ რომელია შენთვის გამორჩეული ფერი?

◆ ძირითადად, ფანქარში და გრაფიტი ვხატავ, ასევე, ვიყენებ გუაშს. ილბლანი ვარ, რადგან ჩემს საყვარელ ფერში მთელი სამყაროა გახვეული, ბარათაშვილივით მეც ამ ფერში ვარ შეყვარებული: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...“

⇒ რაზე ოცნებობ?

◆ ჩემი ოცნება მრავალნაირია. ოცნებაში შექმნილი მაქვს საოცარი პლანეტა, რომელიც არარეალური და ჯადოსნურია. ოცნება ხომ ის გამონაკლისია, სადაც შეუზღუდავები ვართ წარმოსახვით სამყაროში... რეალობაში კი, ჩემი ოცნებაა, არასოდეს ვიყო სუსტი და უსუსური.

⇒ ალბათ პროფესიაც არჩეული გაქვს...

◆ პროფესიით ფსიქოლოგი მიხდა გავხდე, რადგან მიყვარს ადამიანებისთვის რჩევების მიცემა. არ მელის მათთან საუბარი, მათი მოსმენა. შემიძლია, უსიტყვოდ გამოვიცნო მათი ფიქრები... ყოველთვის მიხდა დავეხმარო ადამიანებს და ვიყო მათი მხარდამჭერი.

⇒ ფოტოგრაფიით ხარ გატაცებული, ყველაზე ხშირად რა სვეტა შენს ფოტოგრაფიკში?

◆ მიყვარს ესტეტიკა, ამიტომ, ხშირად, ლამაზ და სასიამოვნო დეტალებს ვიღებ. მომწონს პეიზაჟები. ჩემს ობიექტებში ხშირად ძალღები პოზირობენ.

⇒ ამჟამად რაზე მუშაობ და როგორია შენი სამომავლო გეგმები?

◆ ამჟამად ეროვნული გამოცდებისთვის ვემზადები, ახლა ჩემი მიზანი უმალღეს სასწავლებელში ჩაბარებაა. ძალიან მიხდა, სასურველ პროფესიას, რაც შეიძლება მალე, დავეუფლო.

⇒ დაბოლოს, რა შეგიძნობს დასუსტებ საპუტარ თავს?

◆ და მაინც, ვინ ვარ მე?

ესაუბრა მაქა ყიფიანი

